

# სარგბიელი


ეროვნული  
გინგლითიშკა

საორტული გაზეთი

პარასკევი 23 აპრილი 2004 №90 (2109)

ფასი 50 თეთრი

## ჰეი, ვინ სხედსართ მანდ, კოპაიუტარტან?



როდის გაგორდა პირველად ბუ-რთი, ეჭვი გვაქვს, ზუსტად ვერა-ვინ იტყვის. მაგრამ ის კი ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უეფად წოდებული ევროპული საფეხბურ-რთო ოჯახის დაარსებიდან ორმო-ცდაათი წელი გასულა.

ნახევარსაუკუნოვან იუბილე-სთან დაკავშირებით უეფამ საინ-ტერნეტო გამოკითხვა მოაწყო, ამ ორმოცდაათ წელიწადში უდიადე-სი ევროპელი ფეხბურთელი ვინ არისო.

ზინედინ ზიდანი — 123 582 ინ-ტერნეტმომხმარებელმა ფრანგი ირჩია.

ძნელად რომ ვინმემ თქვას, ზი-ნედინ ზიდანი დიდი ფეხბურთელი არ არის და აღიარება არ ეკუთვ-ნისო, მაგრამ მსგავს გამოკით-

ხვებს ყოველთვის ახლავს ეჭვი და გვარიანად საფუძვლიანიც, რომ ინტერნეტგამოკითხვაში მონაწი-ლეობს მეტწილად ის ხალხი, რომელიც საერთოდ არ იცნობს ათნ-ლეულების წინანდელ დიდვარსკ-ვლავებს ან მათზე ძალიან ბუნდო-ვანი წარმოდგენა აქვს.

ჰოდა, ამის გამო ჩნდება კითხვა: რატომ გახდა მიშელ პლატინი მხოლოდ მეცხრე, ბობი ჩარლტონი მეთოთხმეტე და ასე შემდეგ. თუმცა ამგვარ გამოკითხვებს არც აქვთ პრეტენზია აბსოლუტურ ჭე-შმარიტებაზე, თუკი ფეხბურთში ასეთი რამ საერთოდ არსებობს.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ ზიდანის მერე, მეორე ნომრად ფრანც ბეკენ-ბაუერი დაასახელეს, მესამე კი იოჰან კრუიფი იყო.



მარსელმა და ნიუკასლმა, ვილიარვალმა და ვალენსიამ როგორც დაიწყეს, ისე ლამაზად გრეს

REUTERS ნიუკასლიდან


## მიეცი სამ-ოთხ ფეხბურთელს 500-500 ლარი და თამაში შენია

...ერთი გუნდის ოთხ ფეხბურთელს შევხვდი. მათ მითხრეს, რომ მოგებაზე პრემია სამასი ლარი აქვთ, მაგრამ თუ ხუთასს მიიღებენ, დამ-ჯვთის ინტერესების მიხედვით იმოქმედებენ...

...კლუბების წარმომადგენლებს ფაქტებს და-ვუღებ და ამის შემდეგაც თუ ყველაფერი ძვე-ლებურად დარჩება, მაშინ კლუბის ხელმძღ-ვანელობას და ფეხბურთელებსაც პირდა-პირ დარტყმას მივაყენებ...

...ჩემპიონატის ბო-ლო სამ ტურში ორი ჩანყობილი მატჩი იყო და წაგებული გუნდების მწვრთნე-ლებმა მარცხი მსა-ჯებს დააბრალებს...

### ჭუჭყიანი ქულეები არც ისე ქვირიანი



## მაშუა გუგეშაშვილის სამხილავი

გურამ დულენავაშვილის ფოტო



REUTERS ნიუკასლიდან

დიდი დროგა

**უეფას თასი 2003-2004**  
 UEFA CUP ნახევარფინალი. პირველი მატჩი. 2003 UEFA CUP

**60უკასლი (ინგლისი) 0:0 მარსალი (საფრანგეთი)**  
 60უკასლი: გიენი, ა. პიუზი, ვუდგეტი, ობრაინი, ბერნარი, ამბროზი, ვიანა, სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი (ბრიჯისი 78)  
 მწვრთნელი: ბობი რობსონი  
 მარსალი: ბარტენი, ბეიე, პემდანი, მეიტე, დ. ფერეირა, ფლამინი, ს. ნდიაიე, დოს სანტოსი, ბატლე (სელესტინი 90), დროგა, მერიემი  
 მწვრთნელი: ფოზე ანიგო  
 გაფრთხილება: ბეიე (48)  
 მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)  
 52 004 მაყურებელი

**ვილიარეალი (ესპანეთი) 0:0 ვალენსია (ესპანეთი)**  
 ვილიარეალი: რეინა, კიკე ალვარესი, კოლოჩინი, ხავი ვენტა, ბელეტე, ბატალია, როსერი, ხოსიკო, რიკელმე, ს. ანდერსონი, ხოსე მარი  
 მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია პაკიტო  
 ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, პელეგრინო, რ. აიალა, კარბონი, რუფტე, ალბელდა, ბარახა, ვისენტე (ხისკო 86), ანგულო, მისტა (ხისკო 73)  
 მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი  
 გაფრთხილება: კარბონი (21), რუფტე (32), ანგულო (61), ალბელდა (68), ხავი ვენტა (75), კოლოჩინი (82)  
 მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია)  
 23 000 მაყურებელი


# ვილიარეალი

გუშინ უეფას თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები ისე დასრულდა, გოლი არ გასულა და შესაბამისად, რომელიმე გუნდის უდავო ფავორიტობაზე ლაპარაკი უაზროდ ჩანს. არადა, ორივე მატჩში, ნიუკასლშიც და ვილიარეალშიც, მიზანთან უფრო ახლოს სტუმრები იყვნენ. ნიუკასლშიც და ვილიარეალშიც იქაურმა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს, მარსელელი დიდი დროგას და ვალენსიელი რუბენ ბარახას დარტყმულები ოდენ ხარისხს რომ მოხვდა და კარში არ შევარდა.

ისე კი, „ნიუკასლი“ მთელი მატჩის მანძილზე ტანჯავდა ფრანგებს გაუთავებელი იერიშებით და დროგას ნახსენები მომენტი სტუმართა იშვიათ იერიშს მოჰყვა. და რომ „კაჭკაჭთა“ შეტევებს შედეგი არ მოჰყვა, ეგებ იმის ბრალიც იყო, კირონ დაიერი, ჯერმენ ჯენასი და კრეიგ ბელამი რომ აკლდათ. ხოლო „ვილიარეალი“ სარეკორდო სერიას აღარ ასრულებს და ეს რეკორდი ძნელად რომ ვინმემ დაამხო — ინტერტოტოდან მოყოლებული ცხრავე საშინაო შეხვედრაში ვილიარეალებმა ერთი გოლიც არ გაუშვეს.



ვილიარეალი — ვალენსია. სონი ანდერსონი ამოღ დიხარჯა



ნიუკასლითა მთავარმეგობლე აღან შირერი უგოლობას შეუწუხება



ნიუკასლი — მარსელი. ფაბიენ ბარტენის კარში ვერც მაიკლ ბრიჯისმა გაიტანა

<b>უგედიტი</b> ალსვენსკა. IV ტური იორგარტიმ 1:1 აიპ	<b>ირლანდია</b> პრემიერლიგა. VIII ტური დუბლინი 2:1 პოკინიანსი	<b>პოლონეთი</b> თასის 1/2 ფინალი. სააასურო მატჩი ლეგია 0:0 იაგელონია (3:0)
---	---	--

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის | შესარჩევი ჯგუფი  
**ჩვენი მატჩები**

# გლობის დნიპროსი წყალი ელუი აპოლინეს

## უკრაინა



28 აპრილს კიევში ვალერი ლობანოვსკის სახელობის სტადიონზე უკრაინა სლოვაკეთს უმასპინძლებს. ამ ამხანაგური მატჩისთვის უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა უკვე შეარჩია სასურველი ფეხბურთელები. საინტერესოა, რომ ბლოხინმა ისევ დნიპროელებზე გააკეთა აქცენტი და 21-კაციანი სიაში ამ გუნდის 8 ფეხბურთელი შეიყვანა. უკრაინელ ჟურნალისტებს სალაპარაკო მიეცათ, ბლოხინმა „დნიპრო“ ნაკრების საბაზო გუნდად აქციაო. ცხადია, გასაკვირია, როცა კიევის „დინამოს“ და დონეცკის „შახტარს“ „მარად მესამედ“ მონათლულ „დნიპროს“ ამჯობინებ,

თუმც ნაკრების თავკაცს საამისო პასუხიც აქვს — „დინამო“ და „შახტარი“ სავსეა ლეგიონერებით. ერთი სიტყვით, ბლოხინს უკვე ყველა მხრიდან უტევენ და იმავე უკრაინელისთვის აზრით, სადაც რვა დნიპროელს იწვევს, იქ მეცხრე, ვიანესლავ კერნოზენკოც არ უნდა დაევიწყებინა, ვისაც უკრაინაში სადღესოდ ძალიან დიდი რეკლამა აქვს. ბლოხინმა კრიტიკოსებს ერთი თავსატეხიც „გადაუგდო“ — სლოვაკეთთან სათამაშოდ ნაკრებში შენიჭებულ ალექსანდრ სპივაკს უხმო. ამ ამბავში საინტერესო ის არის, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელს მთლად დალაგებული ურთიერთობა არა აქვთ და აქამდე კატა-თავგვივით დასდევენ ერთმანეთს. როგორც ჩანს, მათი შერიგება ყველას გამოეპარა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ოლეგ ბლოხინს 28-ში ურთულესი ვაზი ელის. ზედიზედ შვიდ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ მატჩში უკრაინას მოგება არ უგემია, სლოვაკეთთანაც იგივეს განმეორებამ კი შესაძლოა, ბლოხინიც შეიწიროს.


კახა შალაგზარიძე

- მეპარეპები:** ალექსანდრ შოკოვსკი, ვიტალი რევა (დინამო);  
**მცველები:** ბოგდან შერშუნი (ცსკა რუსეთი), ვიანესლავ ჩეჩერი (მეტალურგი, დონეცკი), ანდრეი რუსოლი, ვლადიმირ იეზერსკი, ალექსანდრ რადჩენკო (დნიპრო);  
**ნახმარმცველები:** ოლეგ გუსევი (დინამო), ანატოლი ტიმოჩუკი (შახტარი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), რუსლან როტანი, ალექსანდრ რიკუნი, სერგეი ნაზარენკო, ოლეგ შელაგევი (დნიპრო), ალექსანდრ ვორსკოვი, ალექსანდრ სპივაკი (შენიტა, რუსეთი);  
**თვლამსხმელები:** ანდრეი შეჟენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ფენერბაჰე, თურქეთი), ალექსანდრ კოსირინი, კონსტანტინ ბალაბანოვი (ჩერნომორეცია), ოლეგ ვენგლინსკი (დნიპრო)

# ბაირამ ალგათი

## ყაზახეთი

ჯამ ალმათიში დიდი სტუმრანობაა. ყაზახეთში აზერბაიჯანის ეროვნული, ასალგაზრდული და ცხრა მატჩულამდელთა ნაკრებები ჩაღან ამხანაგური მატჩების გასამართად. სათამაშო დღე 28 აპრილია.



ყაზახთა თავკაცმა ლეონიდ პახომოვმა ეროვნულ გუნდში 20 ფეხბურთელი მიიწვია. ამათგან მხოლოდ ხუთია ყაირათელი. პახომოვი „ყაირათის“ მწვრთნელიცაა და ამ გუნდში ნაკრების ცხრა წევრი თამაშობს, თუმც მწვრთნელმა ამჯერად მხოლოდ ხუთზე შეაჩერა არჩევანი.

ლი რუსლან ბალტიევი, ვინც სადღესოდ ფენისელ იგორ ავდევეთან ერთად ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია. ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 28 აპრილს ალმათის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება.

კახა შალაგზარიძე

- მეპარეპები:** იური ნოვიკოვი (ირტიში), ანდრეი მორევი (ეკიბასტუზეცი);  
**მცველები:** იგორ ავდევეი (ფენისი), სამატ სმაკოვი, ოლეგ მუსინი (ქაირათი), იგორ სოლოშენკო (შახტიორი), ოლეგ ლოტოვი (ტობოლი), მაქსიმ სამჩენკო (აკტობე-ლენტო), ფარხადბეკ ირისმეტოვი (ირტიში);  
**ნახმარმცველები:** რუსლან ბალტიევი (ტორპედო-მეტალურგი, რუსეთი), ნურბოლ ჟუმასკალიევი, მაქსიმ ნიზოვცევი, დანიარ მუკანოვი (ტობოლი), ანდრეი კარპოვიჩი, იური აკსენოვი (ქაირათი), კაირატ ნურდაულეიტოვი (ირტიში);  
**თვლამსხმელები:** ევგენი ლუნევი (ფენისი), ვალერი გარკუშა (ტობოლი), ანდრეი ფინოჩენკო (შახტიორი), არსე ტლეხუკოვი (ქაირათი)

საპარტიზლოს პირველი 15 წლის 23 თვეში



მატჩის ბოლოს მამუკა რუსიამ ბურთს ჰეინრიხ ვაჰტა და მისმა სეხნიამ, მილანელმა ნაყოფიამ ბურთი კარიდან გამოიტანა



საპარტიზლოს პირველი 15 წლის 23 თვეში

ირანის ჩემპიონი ისპაჰანის „სეპაჰანი“ აზიის ჩემპიონთა ლიგაში თამაშს კი განაგრძობს, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ალბათ ვეღარ გავა — ჯგუფში უმთავრეს კონკურენტ „ალ იტიჰ ადთან“ სტუმრად 0:4 დამარცხდა და პირველიდან მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. არადა შინ ირანელებმა საუდის არაბეთის ჩემპიონს ნინა ტურში 3:2 მოუგეს. „სეპაჰანის“ მცველ ჰაბაბ მუჰირის გუშინ შევხვდით ისპაჰანში

— „ალ იტიჰადმა“ თითქმის იგივე შემადგენლობით ითამაშა, რაც ისპაჰანში, მაგრამ უკვე სხვა გუნდად წარდგა. 0:4-ს არანაირი გამართლება არ აქვს, მაგრამ ჯადეში, სადაც მატჩი ჩატარდა, ძალიან ცხელი იყო, როცა არ დაერბოდით, მაშინაც ოფლი მოგვლიდა. თამაშის შემდეგ „სეპაჰანის“ სამი ფეხბურთელი ყინულებით მოასულიერეს.

— „ალ იტიჰადი“ აზიაში უმდიდრეს კლუბად ითვლება. მისი ცხრა ფეხბურთელი საუდის არაბეთის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს, ხოლო ბრაზილიელი ანდრეუ შარშან ბრაზილიის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა — მას სუთთიანი კონტრაქტი აქვს „ალ იტიჰადთან“, რის სანაცვლოდ ნახევარ მილიონ დოლარს აძლევენ.

— საუდელელებთან იმიტომ წავაგეთ, რომ მწვრთნელის დავალება ვერ შევასრულეთ. არადა, ფრეხელს ვაძლევდა. „ალ იტიჰადი“ ორი ქულით გვისწრებს და ჯგუფში პირველ ადგილსაც ალბათ ის დაიკავებს — მერვედფინალში მხოლოდ პირველადგილოსნები გადიან. საუდელეებმა გამართული ფეხბურთით ითამაშეს, თუმცა ისიცაა, რომ ჩვენ თვითონ მივეციით მათ ამის საშუალება.

— სანამ შინ მოუვებდით „ალ იტიჰადს“, ამ გუნდს ზედხედ 35 თამაში არ წაეგო რაგინდარა ტურნირებზე. „სეპაჰანი“ კი ამ სეზონში უტიტულოდ დარჩება, თუ ირანის თასზე არ ვიმარჯვებთ. თასის მოგების შემთხვევაში აზიის ჩემპიონთა ლიგის მომდევნო გათამაშების საგზურს მოვიპოვებთ.

დავით თაგარტილიძე

მილანმა და აშერმა ლობია ამოატრიალეს

22 აპრილი. ძველი ანაბა. ცენტრალური 80 მიწურებელი მილანი 1:1 აშერი

რის“ შუა ხაზი, იმდენად უნათოდ გამოიყურებოდა შესვენების შემდეგ. „აშერის“ მწვრთნელმა ვიორჯი ჩიხრაძემ წინა ტურში „რუსთათან“ ნათამაშევი შემადგენლობა ერთი ფეხბურთელით შეცვალა, ისიც იტულებით, დისკვალიფიცირებული ვერეშუკის ადგილი მოედინის ცენტრში შონიამ დაიკავა. სხვა ყველაფერი, მათ შორის სათამაშო სქემა, მწვრთნელმა უცვლელად დატოვა. „აშერი“ „მილანსაც“ სამი თავდამსხმელით უტევედა, მათგან ერთი, მორიგეობით კაიდარაშვილი და გოცირიძე, დარჩენილ ორს ზურგს უმაგრებდა. „მილანი“ ორი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდა. ბაკარანძეს და ვარამაშვილს კი ხუთი ნახევარმცველი ეხმარებოდა, რომელთა აქტიურობაც განსაკუთრებით ფლანგებზე იგრძნობოდა. თუმცა ნათქვამში მხოლოდ მეორე ტაიმის ნახევარ საათს ვგულისხმობთ.

მატჩი კი „აშერმა“ ორგანიზებულად, მაღალ ტემპში, აგრესიულად დაიწყო. ნახევარმცველებმა შუა მოედანი თავიდანვე მოიგეს და ბურთზე კონტროლი ვარამაშვილის გოლამდე არც დაუკარგავეთ. „მილანის“ დაცვაში ზერელები საკმაოდ მეტი იყო, რითაც სარგებლობდნენ კიდევ თბილისელები და ნაყოფიას სანერვიულოს არ აკლებდნენ. ორჯერ კი მასპინძლები სასწაულად გადაურჩნენ გოლს: მომენტი ორჯერვე რუსიას ჰქონდა. პირველად იყო და, თავდამ-

პოზა ინასარნიძე ძველი ანაგიდან უსებურთი ლოგიკური თამაში არ არის. ვითომ ახალი რამ ვთქვით? მაგრამ, მანაც... გუშინდელი „მილანი“ — „აშერიც“ კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ საფეხბურთო მოედანზე ყველაფერი კანონზომიერად არ ხდება. შესვენებამდე „აშერის“ უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, მასპინძლებმა კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს, თუმცა ტაიმი მოიგეს. მეორე ტაიმის საწყის ნახევარ საათში უკვე „მილანს“ ჰქონდა ისეთი უპირატესობა, სტუმრებს მეტოქის ნახევარზე გადასვლაც უჭირდათ, თუმცა ტაიმი მოიგეს. ორივე გოლი ტაიმების ბოლოს გავიდა: 44-ე წუთზე ვარამაშვილმა საჯაროობის სიახლოვეს დავეითნიძეს ბურთი მოპარა, ასლანაძეს პირისპირ შეეყარა, მასაც გასცდა


და ცარიელ კარში შეაგორა. 87-ე წუთზე რუსიამ გაათანაბრა. მან შონიას გრძელი პასი მიიღო, მცველთან ჯაჯგურში კი ბურთს ჰეინრიხ ვაჰტა და ნაყოფიას შორეულ კუთხეში გაუტანა. იქამდე დავითნიძის თავური მილანელებმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს, უფრო ადრე კი ელბაქიძეს ახლოდან დარტყმული მეკარე აუღო. აი, ეს იყო, რაც „აშერმა“ მეორე ტაიმში შექმნა და ეს მომენტები ბოლო 10 წუთს ითვლის. დანარჩენი დრო თბილისელებმა საკუთარ ნახევარზე გაატარეს, მასპინძლებს ტემპში ვერ აპყვენ და რამდენჯერმე გადარჩნენ. ბაკარანძე, იოსავა, ვარამაშვილი ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ხან თავად შემტევები სცოდადნენ, ხანაც მცველები ამბრაზურასავით ეფარებოდნენ ბურთს. რამდენადაც კარგად და საზრიანად თამაშობდა პირველ ტაიმში „აშე-



ქიზიყელთა მილანური სურვილები

Table with match statistics: გურია 2:1 ლოკომოტივი 2, მეტალურგი 1:2 თსუ, ოლიმპი 1:1 სხიფხალი, სამგურალი 1:0 მოვლუატი, დინამო 2 11:2 ლუკა, გორდა 1:0 ჩიხურა

Table with league table: შიხ ჯორჯია აშხ. 3:0 ივერია, ივერიას ტექნიკური წაგება ჩათვალა, სამგურალი 23 14 5 4 31:12 47, ქობულეთი 23 14 2 7 42:23 44, რუსთავი 23 13 3 7 31:23 42, დინამო 2 23 12 4 7 63:29 40, ოლიმპი 23 11 6 6 31:22 39, მილანი 23 10 6 7 25:17 36, ცხინვალი 23 10 6 7 34:19 36, ვიკ ჯორჯია-მგბ. 23 9 8 6 27:16 35, გურია 23 10 4 9 28:29 34, აშერი 23 9 7 7 26:20 34, ჩიხურა 23 10 3 10 25:24 33, თსუ 23 9 6 8 36:24 33, ივერია 23 8 5 10 18:33 29, ლოკომოტივი 2 23 6 1 16 15:48 19, ლუკა 23 4 1 18 17:55 13, მეტალურგი 23 1 1 21 12:66 4




ჯაბა მუჭირი



# კლუბს და ფანბურთელს პირდაპირ დაპირება მამუხა გუგუშვილის სახელი ოთხი ფანბურთელი და 500 ლარი

რა ხდება ფანბურთში მოედნის მიღმა? როგორ იბრძვიან გუნდები მიწისქვეშაში? ეს თემა ყოველთვის აქტუალური იყო ქართულ ფანბურთში. რესპონდენტობა მამუხა გუგუშვილს ვთხოვეთ, ვინც კლუბ „თბილისის“ დამფუძნებელთაგანია — ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მონაწილე და საინტერესო გუნდისა



მამუხა გუგუშვილი, ფოტო

ტრი რამიშვილს და მას უშუალოდაც ველაპარაკე. პრეზიდენტს ვთხოვე, რომ კლუბების წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით შევიკრიბოთ და ვიმსჯელოთ. კორუფციაში გარეული კონკრეტული პიროვნებების საჯაროდ დასახელებისგან ჯერ თავს ვიკავებ, მაგრამ კლუბების წარმომადგენლებს ფაქტებს დაუდებ და ამის შემდეგაც თუ ყველაფერი ძველებურად დარჩება, მაშინ კლუბის ხელმძღვანელობას და ფანბურთელებსაც პირდაპირ დარტყმას მივყავნებ.

— რაზე ესაუბრეთ იმ ფანბურთელებს, რომლებიც კორუფციაში არიან გარეულნი?

— ერთი გუნდის ოთხ ფანბურთელს შევხვდი. მათ მივთხრეს, რომ მოგებაზე პრემია სამასი ლარი აქვთ, მაგრამ თუ ხუთასს მიიღებენ, დამკვეთის ინტერესების მიხედვით იმოქმედებენ.

— ვინც ქართულ ფანბურთში ტრიალებს, თითქმის ყველამ იცის, რომელ გუნდს რა პრემია აქვს...

— საქმე ისაა, რომ ვინც დამკვეთია, ისიც არანაკლებ დამნაშავეა — როცა მათი გუნდი ევროტურნირზე გავა, იქ უკვე ყველაფერი ნათლად გამოჩნდება, რადგან ევროპულ სარბიულზე იგივეს ვეღარ გააკეთებენ. ჩვენ ის მწვრთნელებიც უნდა ვამხილოთ, ბინძური ხერხებით რომ არიან მიჩვეულნი შედეგის მიღწევას.

— თქვენი გუნდის ზეექსპლუატივი შესვლა პირველი ეტაპის ბოლო ტურში გადაწყდა, როცა „ლოკომოტივი“ სტუმრად 1:0 დაამარცხეთ. მატჩის წინ თქვენმა გულშემოტორებმა მინდორზე პეტარდები თუ მასხალები ისროლეს და თამაში რამდენიმე წუთით გვიან დაიწყო, რის გამოც პარალელურად მიმდინარე სხვა შეხვედრები რამდენიმე წუთით ადრე დაიწყო. გოლი კი

იმ მატჩში „თბილისმა“ ისე გაიტანა, რომ „ლოკომოტივის“ დაცვას დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ყველაფერმა ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

— ასეთმა მითქმა-მოთქმამ ჩემს ყურამდეც მოაღწია. მაგრამ მასხალები ჩვენმა გულშემოტორებმა წინა მატჩებშიც ისროლეს, ხოლო „ლოკომოტივისთვის“ ჩვენ არანაირი ვალი არ დაგვიბრუნებია — თასზეც მოვუგეთ და ჩემპიონატშიც. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი“ — „თბილისი“ ჩაწყობილი თამაში არ იყო და თუ ჩვენზე მამხილებელი ფაქტები აქვთ, რაღას უცდიან?! იმასაც ვიტყვი, რომ ამ ჩემპიონატში „თბილისის“ სასარგებლოდ მხოლოდ ერთხელ დაინიშნა 11-მეტრიანი.

— ზეექსპლუატივი „დინამო“ — „თბილისი“ 2:2-ის შემდეგ დინამოელთა დამრიგებელმა იყო შუამკამ მსაჯებისკენ გაიშვირა ხელი...

— ყველას უნდა ეყოს იმის ვაჟკაცობა, რომ ყველაფრის მსაჯებზე დაბრალება არ შეიძლება. 0:2-ზე ჩვენი გოლი ხოჯავას წაქცივისათვის მსაჯმა ასპროცენტისანი პენალტი არ დანიშნა. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში ორი ჩაწყობილი მატჩი იყო და წაგებული გუნდების მწვრთნელებმა მარცხი მსაჯებს დააბრალეს.

— კლუბში იოპან ბოსკაპის მოწვევას აპირებთ, თუმცა არა მწვრთნელად — თუ გარიგება შედგა, რა ფუნქციები დაეკისრება ბოსკაპს?

— გვინდა, რომ ბოსკაპი კლუბის მენეჯმენტში დაგვეხმაროს და ჩვენს მწვრთნელებს ცოდნა-გამოცდილება გაუზიაროს. „თბილისის“ მთავარი მწვრთნელი და მისი თანაშემწე — გიორგი დევიდარიანი და ზაზა ბაკურაძე ჩემი მშაკაცები არიან, მაგრამ მა-

ლალ ევროპულ დონეზე გასასვლელად ისინი ჯერ მზად არ არიან. თუმცა, შესაძლოა, ბოსკაპმა მათგანაც აქეთ ისწავლოს რაღაც რაღაცეები. ჩვენი მიზანია, რომ „თბილისს“ ქართველი მწვრთნელი ჰყავდეს.

— „თბილისში“ საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩადებული, მაგრამ სხვა ქართული კლუბების დარად ისიც არარენტაბელურია — როდის გახდება „თბილისი“ მომგებიანი საწარმო?

— 2007 წლიდან კლუბი მომგებიანი უნდა გახდეს, ხოლო 2010 წლისთვის ჩემპიონთა ლიგაზე ვაპირებთ თამაშს.

— „თბილისს“ უკვე აქვს საიმისო ფინანსური რესურსი, რომ ჩემპიონთა ლიგაზე გასვლა დაეგეგმოს?

— სადამდეც ვაქცხავთ, საქმეს იქამდე მივიყვანთ. ხოლო თუ კლუბის კეთილდღეობას დასჭირდა, დამფუძნებლები — მე, თემურ უგულავა და ნიკა დოლიძე — მზად ვიქნებით, რომ ჩვენი წილი გავყიდოთ.

— თქვენი კლუბის და გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებები ყველაზე უფრო რას უკავშირდება?

— იმას, რომ ჩვენთან მეგობრული ატმოსფეროა და ყველაფერი ფინანსებზე არაა აგებული. თანაც, როცა საკუთარ ფულს ხარჯავ, თითოეული კაპიტანის ყადრი იცი.

— უახლოეს მომავალში რას გეგმავთ?

— გუნდი უნდა გაძლიერდეს და რამდენიმე ფანბურთელს ვიყიდოთ, განსაკუთრებით ფორვარდს ვეძებთ. ამ სეზონში უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად ვიბრძვით და გვინდა, რომ „ისინის“ სტადიონზე 15-ათასიანი ტევადობის ტრიბუნა ავაშენოთ, თუ ამ საქმეში ფანბურთის ფედერაცია და ქვეყნის ხელისუფლებაც დაგვეხმარება.

ღამით თამაშობენ

## იმას ვამბობ, რასაც ვხედავ აზვითა უბოლოდ 100 დღეს ვერ გაძლებს

ბოლო წლების ვათვალისწინებით უკვე ძნელი ნარმოსადგენია ევროთასები მოსკოვის „ლოკომოტივის“ გარეშე. არადა, რუსეთის თასის გუშინინდელმა მეოთხედფინალურმა მატჩმა ასე ვადანყვიტა — რკინიგზელებმა 4:1 მოუგეს შინ იაროსლავლის „შინიკს“, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მაინც დამარცხებულნი დარჩნენ. სწორედ თასი იყო „ლოკომოტივის“ ერთადერთი ევროპული შანსი.

— მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. შემდეგ ეტაპზე გასვლას ნაღდად ვიმასხურებდით, მაგრამ ცოტა დაგვაკლდა. ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ამხელა ჩამორჩენას ამოქაჩავ და სულელური გოლის გამო ყველაფერი წყალში გეყრება — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ...

— შენს გატანაში და არჩათვლილ გოლში რას იტყვი?

— ნაღდი გოლი არ ჩამითვალეს. არანაირი თამაშგარე არ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯმა სხვაგვარად გადაწყვიტა. არადა, იმ გოლით ნახევარფინალში ვიყავით.

— მსაჯები და „ლოკომოტივი“ ცალკე თემაა. რუსეთში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ „ლოკომოტივის“ ჩაგრავენ...

— მართალია, ასეც არის. აშკარაა, რომ მსაჯებს არ ვესიმპათიურებით. უკვე მერამდენე მატჩია, მათი შეცდომების გამო ვაგებთ.

— მიზეზი თუ იცით?

— ვერაფერს ვიტყვი, მე იმას

ვიამბობ, რასაც ვხედავ. ფაქტია, რომ მსაჯები არ გვწყალობენ.

— პირველ მატჩში 0:3 მარცხის მერე ფიქრობდით, რომ მოსკოვში ყველაფრის შეცვლა შეეძლო?

— არა, ასე იოლად თუ მოვიგებდით, ნაღდად არ მეგონა. უბრალოდ, მწვრთნელმა გვითხრა, რომ უკან დახევას აზრი არა აქვს და უნდა შევუტოოთ. ჩვენც მომენტები შეგვექმნა და ოთხი გოლიც გავიტანეთ. გასულელებიც ვიყავით, დაცვის შეცდომის გამო სულელური ბურთი რომ არ გაგვეშვა.

— და დარჩით ევროთასების მიღმა...

— ძალიან ცუდია, ასე რომ მოხდა, მაგრამ აწი ვერაფერს შევცვლით. ახლა ჩემპიონატს უნდა მივხედოთ. ჩემპიონობის გარდა არაფერზე ვფიქრობთ და იმედია, ცსკას ოქროს წაგართმევთ.

— „ლოკომოტივისთვის“ მხოლოდ ჩემპიონატი ცოტა არ არის?

— რას ვიზამთ. ასეთი რამ ბევრს მოსვლია. ისე, ჩემპიონობაც არაა

რია, ერთი შევავლო და მერე ყველაფერი აუწყობა.

— უკვე 90 დღეა არ ვაგიტანია...

— 90 რა ამბავია, ამდენი არ იქნება.

— სეზონისწინა ფრანგული შეკრების მერე 90 დღე გავიდა. იმედია, ასამდე არ დამრგვალებ...

— არა, რას ამბობ. 92-ე დღეს შევავლებ. ზეგ ხომ „როტორს“ ვე-

თამაშობთ.

— მალხაზ ასათიანმა „შინიკთან“ ფეხი იტყინა და მაც თამაშს გამოტოვებს?

— ექიმების თქმით, მახოს კუნთი დაზიანებული არაა. დიდი შანსია, ვოლგოგრადშიც წამოვიდეს. ასათიანი უკვე საკმაო ძალაა „ლოკომოტივისთვის“, რაც ბოლო მატჩებშიც გამოჩნდა.

ბასა ზალაზგარინიძე





# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## რა არ იხილდა მატჩში მითხარი ვინ არის უანი მავოზარი და არ ვუჩვენებ წითელს



**პორტუ (პორტუგალია) 0:0 დეპორტივო (ესპანეთი)**  
 პორტუ: ვიტორ ბაია, მ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კოშტინია (მ. მენდემი 46), ალენიჩევი (იანკაუსკასი 46), მანიშე, დეკო სოუზა, კარლოს ალბერტო, მაკკარტი (მ. ფერეირა 70)  
 მწვრთნელი: ჟოზე მალინიუ  
 დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბუტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, ვიქტორი (სესარი 88), სერხიო (დუშერი 79), მაურო სილვა, ლუკუ (ფრანი 44), ვალერონი, პანდიანი  
 მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა  
 გაფრთხილება: კარლოს ალბერტო (23), კარვალიუ (29), მაურო სილვა (29), მ. ფერეირა (90)  
 გაძევება: ჟორჟე ანდრადე (87)  
 მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)  
 50 818 მყურებელი



ფეხების მტკრევით მატჩი არ დაიწუნებოდა

მატჩმა ქომაგები აშკარად გაანბილა. უგოლობით გაჯავრებულმა გულშემატიკურებმა უხეში ჟორჟე ანდრადე ლანდეს, მერე პენალტის არდამნიშნავ მარკუს მერკიც ზედ მიაყოლეს.

ახალ სტადიონზე შეკრებილთა გულისწყრომა გასაგებია — ბურთი კარის ჩარჩოში სულ ორ-სამჯერ მოხვდა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საყურებლად მისულ ხალხს კი ამით ვერ დააპურებ, მაგრამ სხვა მხრივ მწვრთნელებისაც გასაგებია. ორივეს უნვალია, უშრომია, ფინალამდე ნაბიჯილა დარჩა და თავქუდმოგლეჯილნი ხომ არ შეუტევენ? ეს განსაკუთრებით ხავიერ ირურეტაზე იტყვის, რომელმაც სტუმრად „მონაკოსგან“ რვა, „მილანისგან“ კი

ოთხი გოლი გაუშვა. აკი თქვა კიდევ ჟოზე მალინიუმ ნამატჩევს, მოედანზე ერთი გუნდი იყო, რომელსაც მოგება უნდოდა, მეორე კი ყველანაირად ხელს უშლიდაო. ცხადია, მაურინიუ მოგების მსურველში „პორტუს“ გულისხმობდა.

ალსანიშნავია კიდევ ერთი მატჩის შემდგომი ამბავი. ანდრადე „პორტუს“ ყოფილი მოთამაშეა. მას დეკოსთან ერთად 2001 წელს ქვეყნის თასი და სუპერთასი მოუგია. ანდრადემ ყოფილ თანაგუნდელს, თან ნაქცეულს, ნიხლი ყველას დასანახად მიატყა. გავიხუმრე, ჩვენ ხომ მეგობრები ვართო... თუმც ვინ რა თქვა თამაშის მერე, ქვემოთ ნაიკითხეთ, ვფიქრობთ ეს უფრო დაგაინტერესებთ, ვიდრე უსახური თამაშის მიმოხილვა.

### ანდრადე

უკვე ყველას აუხსენი, რომ დეკო ჩემი მეგობარია და იმ ეპიზოდში მას უბრალოდ გავეხუმრე. სამწუხაროდ, არბიტრმა მერკმა ჩვენი ნაცნობობის შესახებ არაფერი იცოდა, წითელი ბარათი მიჩვენა და ძალიან ვწუხვარ, ამის გამო „დეპორტივო“ რომ დაზარალდა. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, 0:0 სტუმარი გუნდისთვის ურიგო არ არის, მაგრამ ჩემი გაძევება მაფიქრებს — ხშირად ჩემპიონთა ლიგაში წითელი ბარათი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება. ვიმედოვნებ, საქმე ასე არ გართულდება.

### დეკო

ვერ გეტყვი, ანდრადე მართლა გამეხუმრა თუ განგებ მომიქნია ფეხი, მაგრამ ჟორჟეს აგრესიაში ვერ დავადანაშაულებ. უფრო უცაბედი, რეფლექსური საქციელი მგო-

ნია და ვთვლი, რომ ჩემი მეგობარი ჩემზე თავდასხმას არ აპირებდა. მსაჯმა ხსენებული ეპიზოდის გარდა სხვა ბევრი შეცდომაც დაუშვა. შედეგს თითქოს არა უშავს, თუმცა „პორტუს“ თავისი საუკეთესო შეხვედრა ნამდვილად არ ჩაუტარებია. ანდრადე „დეპორტივოს“ საპასუხო მატჩში დააკლდება, ჩვენ კი „რიასორზე“ რაც შეიძლება, მეტი ბურთის გატანას ვეცდებით — ფრის შემთხვევაშიც ფინალში „პორტუ“ გადის.

### მაურო სილვა

ჩვენი მიზანი სანახევროდ შესრულებულია. პორტუგალიურ პირველ რაუნდში ურიგოდ არ ვითამაშეთ. ახლა წინ „რიასორი“ გვიცდის, იქ კი „პორტუსაც“ ზუსტად ისეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გავუმართავთ, როგორც იტალიურმა „მილანმა“ საკუთარ თავზე გამოსცადა. მომავალ მატჩს

გამოვტოვებ, რადგან ყვითელი ბარათი მივიღე — ასეთ თამაშებში ძნელია გაწონასწორებულად ბურთაობა... ჩემი არყოფნა საპასუხო მატჩზე გადამწყვეტ გავლენას არ იქონიებს, „დეპორტივო“ დიდებული გუნდია და მოწინააღმდეგისთვის საშიში იქნება ყველა, ვინც მოედანზე გამოვა. მერკმა კი ანდრადე გაწირა, დეკო ხომ ჟორჟეს საუკეთესო მეგობარია...

### ნაიბუტი

შედეგი სამართლიანი, რადგან საზიფათო მომენტები თითქმის არ ყოფილა. სხვანაირ მატჩსაც ალბათ არავინ ელოდებოდა — ევროპის უპირველესი საკლუბო ტურნირის ფინალზეა ლაპარაკი და თავდაცვ ზვედებით, ოდნავი უყურადღებობა ნებისმიერ კლუბს დალუპავს... პორტუგალიური ფეხბურთის სიძლიერეს კარგად ვიცნობ, ორი წელი იქაურ ლიგაში ვთამაშობდი. ცუდია, რომ მაურო სილვა და ანდრადე მომდევნო შეხვედრას გამოტოვებენ, თუმც ალბათ „დეპორტივო“ დირსეულ შემცვლელებს გამოძებნის. „რიასორზე“ კი დიდი ყურადღება გემართებს, „პორტუს“ სტუმრად უფრო მეტი გოლი გააქვს და ესპანეთში უგოლო ფრის იმედად ვერ ვიქნებით.

### პორტუგალია


„დეპორტივო“ არაა ჩვენზე ძლიერი გუნდი, უფრო მგონია, რომ საწყენი შემთხვევითობის გამო ვერ მოვიგეთ. მარკუს მერკს პენალტის უნდა დაენიშნა ჩვენს სასარგებლოდ. ლა კორუნიასი მოსაგებად ჩავალთ. მიუხედავად იმისა, რომ ფრეც ვაწყობს, „პორტუ“ მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძობებს.

## ხავიერ ირურეტა

**ვფიქრობ**, რომ მსაჯი შეხვედრის დაძაბულობამ დააბნია, ტრიბუნები საშიხლად ხმაურობდნენ და ამ არანორმალურ გნისში მერკმა თავის საქმეს კვლავ მიხედა. ანდრადე ტყუილად გააძევეს, ის დეკოს ეხუმრა, არბიტრმა კი ჩემი ფეხბურთელის ჟესტი აგრესიად ჩათვალა. პორტუგელებიც უხეშობდნენ, თუმც მსაჯმა ისინი დაინდო. პირველ ტაიმში ორივე გუნდს თანაბარი შანსი ჰქონდა, მეორეში კი პორტუგალიელები უკეთ გამოიყურებოდნენ. „რიასორზე“ დიდი სიფრთხილე გემართებს, 0:0 არადაძაბვრებული შედეგია. ლუკუ დაშავდა, მაგრამ კლუბის ექიმთა აზრით, ტრავმა სერიოზული არ არის, რაც იმედის საფუძველს გვაძლევს. ანდრადე-დეკოს ამბავზე აუცილებლად მივმართავთ უფფას. ჩემი აზრით, უნდა გაგვიგონ და ჟორჟეს დისკვალიფიკაცია ააცილონ.



## ჟორჟე მალინიუ



**ასეთი მსაჯობა არ მინახავს**, არადა, ევროპულ ტურნირებზე 12-წლიანი საქმიანობის გამოცდილება მაქვს. მერკმა ნამდვილად გამაკვირვა. თუ „რიასორზე“ ნორმალური მსაჯობა იქნება, ახლანდელი შედეგი ცუდად არ უნდა ჩაითვალოს და თუ ვინმე თამაშს ისევ, ამ მეთოდით განსჯის, ფინალთან დამშვიდობება მოგიწევს... მატჩი დაძაბული გამოდგა, „დეპორტივო“ რისკზე არ წასულა და ჩვენც საუკეთესო თამაში ვერ ვუჩვენეთ.

## აუგუსტო ლენდოირო („დეპორტივოს“ პრეზიდენტი)



საერთო ჯამში ჩვენების თამაშითა და შედეგით ძალიან კმაყოფილი დავარჩი, თუმც პატივს ვცემ მოწინააღმდეგეს და მიმანია, რომ „რიასორზე“ უკიდურესად ძნელი მატჩი გველის. ანდრადეს საწყენი კურობი შეემთხვა, რასაც აუცილებლად გავაპროტესტებთ. დაუმსახურებელი წითელი ბარათის გამო მისი დასჯა არასწორი იქნება.



ის ჩემი მეგობარია — უხსნიდა ანდრადე წითელმომარჯვებულ მარკუს მერკს







ოთხშაბათს ჩატარებულმა რომაულმა დერბიმ (1:1) სერია A-ს ლიდერს, „მილანს“ სკუდეტო დაუახლოვა. სწორედ ამით გახლდათ „შავ-წითლების“ მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი ფრიად კმაყოფილი

# რომში მილანის საქმე გაკეთდა ანჯელოტის და ბალიანის საუბარო მოლაპარაკებით

„დერბი“ დელა კაპიტალე“ აშკარად ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა. ახლა წინ ფინიშის სწორი და მასზე შეცდომის დაშვება გამორიცხებულია, კატასტროფული იქნება. მეორე მხრივ, გარანტირებული ვერ კიდევ არაფერია“.

ჩანს, რომ საბოლოოდ ყველაფერი 2 მაისს, „მილანისა“ და „რომას“ უშუალო დაპირისპირების დროს შეიძლება გადაწყდეს. ეს მატჩი „სან სიროზე“ გაიმართება, მანამდე კი „შავ-წითლები“ უდინეში ჩადიან.

დვილად კარგად იმოქმედა — მწვრთნელის ნათქვამს დასძინა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანი — „ოლიმპიკოზე“ თამაში რომ დასრულდა, ანდრეი შეჩენკოს დაუბრუნებ. შეჩენკომ მითხრა, რომ თუ ამ კვირას, უდინეში მოვივებთ, სკუდეტო ჩვენია“.

„უდინეზე“ კი, ამასობაში, ერთადერთი გუნდია სერია A-ში, რომელმაც „მილანს“ მოუგო. ეს შობის წინ მოხდა. იმ თამაშის ანგარიში იყო 2:1.  
„რეაქციური უპირატესობა მაშინ, როდესაც წინ მხოლოდ ოთხი ტურია, ძალიან ბევრია, თუმცა სანამ სკუდეტოს მათემატიკურად არ გავინადლებთ, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი — დასძინა გალიანი — აქამდე „რომას“ თამაში აკლდა და არ ვიცოდით სინამდვილეში რა უპირატესობას ვფლობდით. დღეს ნათელია, კიდევ ხუთი ქულა და ტიტული ჩვენია. ამ ხუთი ქულიდან პირველი სამის მოპოვება სჯობს კვირასვე დაეწყოთ“.  
თუმცა მაშინ, როდესაც „მილანის“ მწვრთნელი და ვიცე-პრეზიდენტი ასე ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ბრაზილიელი მცველი, კაფუ თანაკლუბელებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.  
„ნუ დავივიწყებთ, რომ „უდინეზე“ უფროს თასზე გამსვლელი ადგილისთვის იბრძვის — თქვა ბრაზილიელმა — ჩვენ კვირას ძალიან სპეციფიკური თამაში გველის. ისიც უნდა ითქვას, რომ „სტადიო ფრიულიზე“ შურის საძიებლად მივდივართ. ჩვენ ამ სტადიონის მინდორზე ძლიერი ფეხბურთის სათამაშოდ და სამი ქულის მოსაგებად ვაგვალთ“.  
შემდეგ კაფუს ბოლო რამდენიმე შეხვედრაში დაკარგული ქულები თუ გაჩენილი კითხვები შეასხენეს.  
„დახს, ორ თუ სამ შეხვედრაში შეცდომები დაუშვით, თუმცა ეს

არ ნიშნავს, რომ კრიზისი დაგვიდგა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იმ კონკრეტულ მატჩში შეცდომები გვაჯობის და სიმაღლეს თვალსაზრისით უნდა შევყვებით“ — უკო კაფუ.  
თქმა არ უნდა, რომ მილანელთათვის ყველაზე უიღბლო ის მატჩი იყო, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში, ლა კორუნიაში ჩაატარეს და „დებორტივოსთან“ 0:4 წააგეს.  
„ყოველი ვერძოების შემდეგ გადალახა და ფიზიკურ მომზადებაზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ. ხვალ, უდინეში გადაწყვეტი შეხვედრა გველის და მისთვის ასე პროცენტით უნდა ვიყოთ მზად“ — დასძინა მსოფლიოს ჩემპიონმა.  
სხვათა შორის, „მილანს“ უდინეში საკმაოდ დაბალანსებული შედეგი აქვს — 9 მოგება, 14 ფრე და ხუთი წაგება.  
და კიდევ, „შავ-წითლებთან“ დაკავშირებით: კლუბი უარყოფს, რომ ბოლო დღეებში დაყრილ ჭორებს რაიმე საფუძველი აქვს — ედგარ დავიდსის „ბარსელონადან“ „მილანში“ დაბრუნება გამორიცხებულია.  
„ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომლის შეცვლასაც არ ვაპირებთ“ — თქვა გალიანი. გალიანიმვე კატეგორიულად განაცხადა, რომ კარლო ანჩელოტის „ჩელსიში“ გადასვლა შეუძლებელია.  
„ჩემპიონობაც რომ გაუშვას ხელიდან, არსად გაუშვებთ. ის „მილანში“ თავს ბედნიერად გრძობს და მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნება“.

ბაპუნა კედი

# ლუდის რეპოლუსია

## გერმანელებს ბუდვაიზერი ყელზე დაადგათ

ბავარიის რეპოლუსიური მდგომარეობა — თურმე მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დღეებში სტადიონებზე გერმანული ლუდი არ გაიყიდება. კი მაგრამ, რა ხდება? ნუთუ ფიფა „ლუდის ცენზურის“ შემოღებას აპირებს? ბავარიის, ქალაქად თუ სოფლად, ყოველ კუთხეში ამაზე ლაპარაკობენ. „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ ეჭვი აქვს, რომ ფეხბურთსა და ლუდზე გადარებული ბავარიელები ამას ასე არ დატოვებენ. როგორ შეიძლება გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს, გაყიდვით კი „ბუდვაიზერი“ იყიდებოდეს.  
1844 წელს ლუდის ფასის გაზრდამ მიუნხენელ მოქალაქეთა გაგვიება და ლუდის სახარში ალაგების რბევა გამოიწვია — ასეთია ისტორია.  
ახლა? ჯერჯერობით იმავე მიუნხენში, კენინგმტრასეზე მდებარე მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ოფისი ჯერ არავის დაურბევია, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ საქმე იქაურთა თავმოყვარეობას ეხება.

დიახ, ეს ბავარიაა. გასაგებია, რომ კონცერნ ANHEUSER-BUSCH-ს, რომელიც ასე ცნობილ „ბუდვაიზერს“ უშვებს, ფიფასთან კონტრაქტი აქვს და მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური პარტნიორია ლუდის გაყიდვის ექსკლუზიური უფლებით, მაგრამ მინც... ფიფასთვის და საორგანიზაციო

კომიტეტისთვის სჯობს იმავე ჩემპიონატის დღეებში ადგილობრივი ლუდის სადიდებელი და გასასაღებელი რაიმე ალტერნატიული ღონისძიებები მოიფიქროს.  
თანაც — ეს როგორ დაგვაიწყდა?! — მიუნხენელებმა ერთი უკვე დათმეს: არაფერი თქვეს იმაზე, რომ ფეხბურთელებს მათი კი არა, „პიუნდაის“ მანქანებით ატარებენ.  
„თუ მოტორიზებული რიკშები სჭირდებათ, კი ბატონო, მაგრამ ლუდი?“

ბაპუნა კედი



# დამპატიშენი და მოგალე

## საილაჩი იუვას თავს ანონებს

„მონაკოს“ ფეხბურთელი სებასტიან სკილაჩი ამბობს, რომ თუ „იუვენტუსი“ მისი შემენით დაინტერესდება, დაუფიქრებლად მოუწერს კონტრაქტზე ხელს. ახალგაზრდა ფრანგსა და „ბებერ ქალბატონზე“ აქამდეც ლაპარაკობდნენ, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რაც უფრო ახლოვდება ზაფხული, მით გაძლიერდება ამ თემაზე საუბარი.  
„იცი, რომ ტურინში ჩემზე ფიქრობენ — თქვა 23 წლის მცველმა — მართალია, „მონაკოში“ თავს ბედნიერად ვგრძობ, მაგრამ თუ ტურინელები ოფიციალურად შემომთავაზებენ მათთან გადასვლას, უარს ვერ ვიტყვი“.  
მოგვხსენებთ, სერია A-ს გიგანტი მომავალი სეზონიდან დაცვის გადახალისებას ფიქრობს. სკილაჩიმ განაცხადა:  
„2007 წლამდე მაქვს „მონაკოსთან“ კონტრაქტი და საკუთარი თავის გამოსყიდვა არ შემიძლია, ასე რომ, თუ ვინმეს ჩემი შექენა მოუნდება, კლუბს უნდა დაელაპარაკოს“.

ბაპუნა კედი

# რამდენიმე დღის წინ დევიდ ბექემმა

გაკაპსებულ ვიქტორიას შესარიგებლად უპირფასეო ბეჭედი უყიდა. ფეხბურთელმა საჩუქარში ერთი მილიონი გირვანქა გადაიხადა. თავისი შრომით უშოვია და ფულს ისე დახარჯავს, როგორც მოესურვება. ეს ბექემის პირადი საქმეა.  
სულ სხვაა შტეფან ეფენბერგი, რომელმაც ოდესღაც თანაგუნდელ თომას შტრუნცს ცოლი ასწავნა. „ეფე“ საქორწილოდ ემზადება. შტეფანი და კლაუდია პურმარის აგვისტოში გაშლიან. ყენობაზე დაახლოებით 50 კაცია დაპატივებული, სულ ნარჩევი მეგობრები.

# მოდით, გავაკეთოთ ეს

## ეფემა ხლაუდია დაბეჭდა

გერმანული „ბილი“ არ გვამცნობს, დაპატივებულია თუ არა ქმარყოფილი თომასი. შეყვარებულმა წყვილმა სტუმრებს წინასწარ მოსაწვევები დაუგზავნა. ბარათებში რამდენიმე სტრიქონიანი ტექსტია, რომელიც დაახლოებით ასეთი სიტყვებით იწყება: „მოდით, გავაკეთოთ ეს“!  
ქორწილი ფლორიდამ გაიმართება, სადაც „ეფეს“ აგარაკი აქვს. ამ აგარაკის მახლობლად ცხოვრობს ფეხბურთელის ყოფილი მე-

ულლე მარტინა. ეფენბერგი თან იმზარულებს, თანაც მარტინას ნერვებს აუშლის.  
თხრობაში კინალამ მთავარი გამოგვრჩა. ბექემმა საჩუქარში მილიონი გირვანქა გადაიხადა, ეფენბერგმა კი კლაუდიას 58-თელიანი ბრილიანტის ბეჭედი უყიდა. გერმანელი ინგლისელივით არ გადარეულა, ბრილიანტისთვლიანი საჩუქარი სულ 6 ათასი ევრო დაუჯდა.

მაშა ხუნიზილი






















# დიეგოსთვის

ინდოელებსაც უყვართ დიეგო მარადონა. კალკუტაში ათასობით ფეხბურთის მოყვარულმა სავანებოდ ილოცა იმისთვის, რომ მარადონა მალე გამოჯანმრთელდეს.



REUTERS კალკუტიდან

# ობოლთა სახლში

ინგლისის მოკრივეთა ნაკრები კვლავ ტრინიდადზეა და ერთდღიან კრიკეტში ებაქურება ვესტინდოელებს. კეთილი ნების ქცევანი კრიკეტში ჩვეული ამბავია და ინგლისელებიც სწვევიან პორტო თვ სპეინის თბილთა სახლს, სადაც დიდი დაჭერობაა გაუმართავთ. ენდრიუ ფლინტოვს ექვსი წლის ჯოზეფ როჯერსი წამოუკიდია და ისე ურბენია.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



# გეორგი კლიჩკოს დრო

ერთი კლიჩკო წაიქცა, მეორე კი ბრძოლას აგრძელებს. საბჭოს (გბკ) ქაშრისთვის შაბათს ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში“ ვიტალი კლიჩკო იმ სამსრუთაფრიველ კორი ხანდერსს შეებრძოლება, რომელსაც ადრე მისი ძმა ვლადიმერი დაუმარცხებია. საბჭოს ქაშარი წაუგებლად დათმო აწ გადაძღვარმა ლენოქს ლუისმა, რომელიც ორთა პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

**სარბიელი**  
საპორტული გაზაფხუმი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის ორგანოს,  
საგზაბათს, ოთხგზაბათს,  
ხუთგზაბათს,  
პარასკევს და შაბათს


გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი გიორგი ოძროშაძე  
რედაქტორი თამაზ მიგრიალი  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუელიაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერასე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვილხელმანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ლალი ხოშორიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: ვაია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვალაუაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინჭლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

# ერაყის ბავშვები


პატრიკ ვიეირა მთელი გულით ჩართულა საქველმოქმედო კამპანიაში, რომელსაც მილიონი ვირჯანის შეგროვება დაუსახავს მიზნად. ფული წრაცვადი ბავშვების სპორტული ინვენტარის ყიდვას უნდა მოხმარდეს, ამიტომ ვიეირა თანახმაა, საქველმოქმედო მოსტერზე აღიბეჭდოს.



REUTERS ლონდონიდან

# ფლეუ ვალონის პირზე

შარლერუა — უის შუა სმ-ედ გაბმულა ველოფზა, განთქმული „ფლეუ-ვალონი“. 1995-ვილომეტრიან გზაზე ველომობილებს „ანდერლესტის“ ფეხბურთელები პარ ზეტერბურგი, კრისტოიან ვილპელმსონი და მარკ ჰენდრიქსიცი შემოყრიან. ამ უკანასკნელს აპარატიც კი გაუძვრია.



REUTERS უიდან